

იმისთანა წმინდა საცემში, მტკიცე ბეჭდუდი სიფყვას, ფყილებით და ჭაბობით ბუბთის გაცანა ყულა უჯადისმბაჟ უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.  
ოთხშაბათი, 26 მარტი, 2014 წელი.  
№59 (7440)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## ვინ მოკლა პოლკოვნიკი ბიბო თელია?



5

### სინტერესოა, რას ურჩევდა ექსპრეზიდენტს კობა კუბლაშვილი?

4

### საქართველოს ხელისუფლებას უნდა ვაზაზა, აირჩიოს უნაღები ნატოში უნვლასა და მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის დევნას შორის


8

### ვიღრე ნასინტები უნანბროსუნ ყველა ევროპელის კარს!

6



### „მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო ჩვენი ქვეყნის საფუძველი“



— აზის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში პარაკლისის დაწყებამდე განაცხადა.

სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქმა სასულიერო პირებთან ერთად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დღესთან დაკავშირებით პარაკლისი აღავლინა და ავტოკეფალიისთვის მებრძოლთა სულებისთვის პანაშვიდი გადაიხადა.

კათოლიკოს-პატრიარქმა პარაკლისის დაწყებამდე ტაძარში შეკრებილებს ქადაგებით მიმართა. უწმინდესმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფუძნების ისტორია გაიხსენა და ეკლესიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

— საქართველოს ეკლესია განსაკუთრებულია იმით, რომ საქართველო არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ქვეყანა. აქ იყო ჩამობრძანებული უფლის კვართი. საქართველოს ეკლესია ქრისტიანული რომ არ ყოფილიყო, მე არ მგონია, ეარსება ქართველ ხალხს. საქართველოს ეკლესია და მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო ჩვენი ქვეყნის საფუძველი და ამაზე იყო და არის დაფუძნებული ქართული ცნობიერება და ქართული კულტურა და ეს გრძელდება, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

უწმინდესმა ასევე ბრძანა, რომ მე-5 საუკუნეში საქართველოს ეკლესია დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის მეშვეობით გახდა საკათალიკოსო და პირველი კათალიკოსი იყო პეტრე. მე-5 საუკუნიდან იწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური ცხოვრება. ეს გაგრძელდა 1801 წლამდე, როდესაც საქართველოს საკათოლიკო ტახტზე ბრძანდებოდა ანტონ II. იგი გაიწვიეს რუსეთში და გააუქმეს საქართველოს ავტოკეფალია. პატრიარქის თქმით, 1917 წელს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მეოხებით და მოციქულთა და წმინდანების შეწევნით, მღვდელმთავრების ლეონიდეს, კალისტრატეს და სხვათა ღვანლის შედეგად აღდგა საქართველოს ავტოკეფალია.

— საქართველოს ეკლესია გაძლიერდა ღვთის მადლით და ის არის მტკიცე საფუძველი ჩვენი მომავლისა. ღმერთმა გააძლიეროს, განამტკიცოს საქართველოს ეკლესია, ღმერთმა ყველა სასულიერო პირი, ყველა მღვდელმთავარი, ბერ-მონაზონი, იყოს ჩვენი ერის მაგალითი და ჩვენ ვხედავთ რომ ეს ასეა, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

უწმინდესმა დალოცა საქართველო და ეკლესიის ავტოკეფალიის დღე მიულოცა. ასევე შესთხოვა უფალს, რომ მოგვეცეს ძალა და მადლი, რომელიც დაგვეხმარება სინელებების დაძლევაში.

### დღის ამფრაზურიდან

პროკურატურამ იმდენი კითხვა ჩამოთვალა, სააკაშვილმა ყველას თუ უპასუხა, კაკ მინიმუმ, ბროლის ბუ უნდა მისცენ.

### დეპნილი მესნიერი უვალას ითხოვს...

7

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამან ვერ ნახავ!..

# საქართველო ბირთვული უსაფრთხოების სამიტის მიზნებს სრულ მხარდაჭერას უცხადებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი ჰააგის ბირთვული უსაფრთხოების სამიტზე სიტყვით გამოვიდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრეს-სამსახურიდან აცნობეს.

— ჩვენ რთული და მრავალმხრივი გამოწვევების წინაშე ვდგავართ, სოლო რამდენად ლეგიტიმური და ეფექტიანი იქნება ჩვენი რეაგირება, დამოკიდებულია ჩვენს თანამშრომლობაზე, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, საქართველო ბირთვული უსაფრთხოების სამიტის მიზნებს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

საქართველოს პრემიერმა სამიტის მონაწილეებს, ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში განხორციელებული რეფორმები გააცნო.

როგორც ლარიბაშვილმა განაცხადა, 2012 წლის სამიტის შემდეგ, საქართველომ გაააქტიურა მუშაობა ქვეყანაში, რეგიონსა და ზოგადად, მსოფლიოში ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ბირთვული მასალების კონტრაბანდისა და ბირთვული ტერორიზმის პრევენციის კუთხით.

კერძოდ, როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველომ გააფართოვა ბირთვული უსაფრთხოების საკანონმდებლო ბაზა, განავითარა უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა და გააღრმავა საერთაშორისო თანამშრომლობა.

ირაკლი ლარიბაშვილმა სამიტის



მონაწილეებს მიანოდა ინფორმაცია, რომ საქართველო, უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის განმტკიცების მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროსთან, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან, ევროკავშირთან, ნატოსა და ეუთოსთან, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის მთავრობებთან.

## ინფრასტრუქტურა

### უემოვლით რკინიგზას ორწლიან „შვებულებას“ გამოუწევენ?

თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობას განაჩენის სახით 2-წლიანი მორატორიუმს გამოუტანენ. ამ დროის განმავლობაში კი თბილისის შემოვლითი რკინიგზის კვალიფიციური საპროექტო-საინჟინრო კვლევა განხორციელდება. გამოცხადდება არ არის, 2 წლის შემდეგ უტვლიანად მიერ წამოწყებული პროექტი სულაც აღარ გაგრძელდეს, რადგან რკინიგზის დასრულებას ფული ახლაც ბევრი სჭირდება, სოლო სარგებელი მიზნულიც კი არ იყო.

„საქართველოს რკინიგზაში“ ახლაც ამბობენ, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელება დაიწყოს სპონსორად, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. ამიტომაც საქართველოს რკინიგზამ საკონსულტაციო კომპანიის MCMOBOL6TY-ის მეშვეობით შეისწავლა პროექტის ამ ფორმით

რო კვლევები. მთავრობის უახლოესი სხდომა იმსჯელებს ხელშეკრულების ვადის 3 წლით გაგრძელების შესახებ“, — აცხადებენ „საქართველოს რკინიგზაში“.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, რომ კონტრაქტორთან პროექტი 2016 წლამდე გაგრძელდება და შემოვლითი რკინიგზის პროექტი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უნდა დაიხვეწოს.

პროექტის არსებული ბიუჯეტის ფარგლებში უკვე დახარჯულია 214 მილიონი აშშ დოლარი. პროექტის დასასრულებლად საჭიროა 117 მილიონი აშშ დოლარი (მოსალოდნელი დამატებითი ინვესტიციების გარეშე). პროექტი ამ ეტაპზე შესრულებულია 80%-ით, სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია 60%-ით. თუმცა, როგორც რკინიგზაში ამტკიცებენ, პროექტის სრულად განსახორციელებლად მინიმუმ 140 მლნ დოლარია საჭირო, რაც შეიძლება წყალში გადაყრილი ფული აღმოჩნდეს.

„რამდენადაც სრულიად არარენტაბელურ, უსარგებლო პროექტში 214 მილიონი უკვე დახარჯულია, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური, საინჟინრო და



კომერციული გადაწყვეტა, რომ ეს პროექტი გაგავითვლითობილოთ, შევასწოროთ და საინტერესო და მომგებიანი გაგვხადოთ რკინიგზისთვის. თუ ეს მოხერხდება, მაშინ უკვე ახალი პროექტი, 18 თვეში დასრულდება მშენებლობის პროცესი. სოლო, თუ ეს ვერ მოხერხდება, ცხადია, დამატებით 140 მილიონის წყალში გადაყრას არ ვაპირებთ“, — განაცხადა „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ კვიკა გუნცაძემ.

არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი მიიჩნევს, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზა, დღეს თუ არა სვალ მაინც უნდა გაკეთდეს. მას ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ პრობლემა ის კი არ არის, უნდა იყოს თუ არა რკინიგზა, არამედ როგორ უნდა იყოს შემოვლითი რკინიგზა. ვერძოდ, სად უნდა გაიაროს შემოვლითი რკინიგზა, რათა სამომავლოდ არ დაახარბოლოს თბილისის და როგორი გამოხარუნიანობა უნდა ჰქონდეს მას, რომ ღირდეს ამ პროექტზე ფულის დახარჯვა.

განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები. შედეგადაც დადგინდა, რომ უარესდება როგორც საოპერაციო, ასევე მონაკვეთის მოვლა-შენახვის მანერვებლები; მცირდება გამტარუნარიანობა (სატრანზიტო სიმძლავრე). ამასთან, პროექტის ასეთი ფორმით განხორციელება იწვევს მაღალბიუჯეტოვანი თანმდევ პროექტების განხორციელების აუცილებლობას, რაც გათვალისწინებული არ არის პროექტის ბიუჯეტში.

„კონტრაქტორის (ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს) მიერ ვერ იქნა დაცული მშენებლობის შესრულების ვადები; შედეგად, სამუშაოების დამთავრების თარიღისთვის (2013 წლის 8 ივნისი), კონტრაქტორს 18-თვიანი ჩამორჩენა ჰქონდა. ყოველივე შემოაღწეულიდან გამომდინარე, აუცილებელია შემოვლითი რკინიგზის ტექნიკურ-ეკონომიკური მარვენებლების გაუმჯობესება და მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების მინიმალიზაცია, რისთვისაც უნდა ჩატარდეს დამატებითი საპროექტო-საინჟინ-

რო კვლევები. მთავრობის უახლოესი სხდომა იმსჯელებს ხელშეკრულების ვადის 3 წლით გაგრძელების შესახებ“, — აცხადებენ „საქართველოს რკინიგზაში“.

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ შარშან განაცხადა, რომ კონტრაქტორთან პროექტი 2016 წლამდე გაგრძელდება და შემოვლითი რკინიგზის პროექტი მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უნდა დაიხვეწოს.

პროექტის არსებული ბიუჯეტის ფარგლებში უკვე დახარჯულია 214 მილიონი აშშ დოლარი. პროექტის დასასრულებლად საჭიროა 117 მილიონი აშშ დოლარი (მოსალოდნელი დამატებითი ინვესტიციების გარეშე). პროექტი ამ ეტაპზე შესრულებულია 80%-ით, სამშენებლო სამუშაოები შესრულებულია 60%-ით. თუმცა, როგორც რკინიგზაში ამტკიცებენ, პროექტის სრულად განსახორციელებლად მინიმუმ 140 მლნ დოლარია საჭირო, რაც შეიძლება წყალში გადაყრილი ფული აღმოჩნდეს.

„რამდენადაც სრულიად არარენტაბელურ, უსარგებლო პროექტში 214 მილიონი უკვე დახარჯულია, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ისეთი ტექნიკურ-ეკონომიკური, საინჟინრო და

## კომენტარი

### „უკრაინის მოვლენებზე ყველაფერი თავდაყირა დაყენდა“

ბმში საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუ ისინი ეფექტურად არ იმოქმედებენ, — ამის შესახებ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ ჟურნალისტებს უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე დასაფუძვლიან რეაქციის კომენტარებისას განუცხადა.

ზურაბ აბაშიძე სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებთან შეხვედრაში მონაწილეობდა. როგორც შეხვედრის შემდეგ აბაშიძემ განაცხადა, საუბარი შეეხო რეგიონში შექმნილ ვითარებასაც.

— უკრაინის მოვლენების მასშტაბი ბევრისთვის, მათ შორის ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის, მოულოდნელი იყო. ამიტომ, როდესაც თქვენ სანქციებზე მეტობებით, ამ სანქციების თაობაზე ახლა მიდის კონსულტაციები და მოლაპარაკებები. გუშინ შეიკრიბა ჰააგაში „დიდი შვიდეული“. ასე რომ, ჯერ მთლიანად ჩამოყალიბებული არ არის დასავლეთი იმის თაობაზე, თუ რა სანქციებს ამოქმედებს რუსეთის წინააღმდეგ, — განაცხადა აბაშიძემ.











რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებასა და სამართალდაცვის ორგანოებს, უარი თქვან ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დაკითხვის განზრახვაზე. მსგავსი განცხადებებით გამოვიდნენ ევროპელი პოლიტიკოსები. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა წარმომადგენელმა მეთიუ ბრაიზამ კი ოფიციალურ თბილისს, ფაქტობრივად, ულტიმატუმი წარუდგინა: ან სააკაშვილს მოეშვებიან, ან საქართველო არ მიიღებს ნატოში წევრობის მოქმედების გეგმებს ალიანსის ქვეყნების ხელმძღვანელთა სექტემბრის სამიტზე უელსში. გამონაკლისს თანახმად, სააკაშვილი უნდა გამოცხადდეს საქართველოს მთავარ პროკურატურაში 27 მარტს 13 საათისთვის.

ულტებში, მაშინ უპასუხებს კიდევ კანონის მიხედვით. სხვათა შორის, თითქოსდა, აქამდე არც ერთი ეს საქმე არ მივა. საკმარისი იყო ამოტივტივებულად სააკაშვილის სახელი რომელიმე გამოძიების დროს, რომ უმაღლესე გაისმოდა გაფრთხილება რომელიმე დასავლელი ჩინოვნიკის მხრიდან პოლიტიკური ანგარიშგების დაუშვებლობის შესახებ. მაგრამ, როგორც ჩანს, გამოვლენილი ახალი დეტალები ტელეკომპანია „იმედის“ კანონიერი მფლობელისგან წართქვევის საქმესთან დაკავშირებით მწვავედ მოითხოვდა მიხეილ სააკაშვილის ჩვენებებს – პროკურატურის პირველ სპეციალურ განცხადებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ექსპრეზიდენტი დაკითხვაზე არის გამოძახებული ამ ტელეარხის მფლობელის შეცვლის ვითარებათა დეტალების გამოსავლენად.

თბილისა პაუინგბონის ულტიმატუმი მიიღო



საქართველოს ხელისუფლებას უსთავაზუნს, აირჩიოს უაღვარი ნატოში შესვლასა და მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის დევნას შორის

ექსპრეზიდენტი დაკითხვაზე არ ჩავა. „არ ვაპირებ საქართველოში ჩასვლას პუტინის მოთხოვნით. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საქართველოს ხელისუფლება მისი მითითებით მოქმედებს. მე ხელს ვუწელი პუტინის ჩემი ბრძოლით უკრაინის გათავისუფლებისთვის. სწორედ ამიტომ მიძახებენ დაკითხვაზე, რათა დამაპატიმრონ ან გამოაცხადონ საერთაშორისო ძებნა, თუ არ ჩავალ, და ამით სურთ, ხელი შემეშალონ მსოფლიოში გადაადგილებაზე“, – განუცხადა სააკაშვილმა ქართულ ტელეარხებს ტელეფონით. მისი სიტყვებით, დევნა მოწყობილია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და საქართველოში მისი ხელქვეითის, ექსპრეზიდენტ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ, რომელმაც „მოსკოვისგან ორი მილიარდი დოლარი მიიღო გადატვირთვებისთვის“. „ივანიშვილმა ამ ბინძური ფულით მოაწყო გადატვირთვა და თავად მოვიდა ხელისუფლებაში. მთელმა მსოფლიომ იცის ეს. ის გადაადგა პრემიერის პოსტიდან, რომ არავის ეფიქრა, თითქოს მე მდევნის. მაგრამ ყველამ იცის, რომ საქართველოს მართავს იგი, და სწორედ იგი ასრულებს პუტინის ბრძანებას, მდევნის მე“, – განაცხადა სააკაშვილმა და დაგვირგადა გააგრძელოს გამათავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ მთელს მოსახლეობას სივრცეში, კერძოდ, სამხრეთი კავკასიის რეგიონში. „მე პუტინისთვის ვარ, როგორც ძვალი ველში. მაგრამ მალე დაგბრუნდება საქართველოში, რათა გაავითავისუფლო ქვეყანა ამჟამინდელი ხელისუფლებისგან, გავაგრძელო რეფორმები და გამოვიყვანო იგი რუსეთის ჩაგვრიდან“, – განაცხადა ექსპრეზიდენტმა.

ამავე დროს ინტერნეტში გაჩნდა ფოტოგრაფიები ექსპრეზიდენტ ზურაბ ჟვანიასა და საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორის მოადგილის რაულ უსუპოვის დაღუპვის შესახებ სისხლის სამართლის საქმიდან. დაღუპულთა სხეულებზე მკაფიოდ მოჩანს უცნაური კვალი, რომელიც შეიძლება დარჩენილიყო, დავუშვათ, დარტყმისგან ან სხვა გარეგანი მოქმედებისგან, მაგრამ არა მოწამვლის კვალი ბუნებრივი აირით, როგორც მითითებულია ტრადიციის ამჟამინდელ ოფიციალურ ვერსიაში. საქართველოს კიდევ ერთხელ შეაკანკალა საშინელებამ, და კვლავ ყოველნაირად უნდა დაინყეს საუბარი იმის შესახებ, რომ ჟვანია მოკლეს... თანდასწრებით. პროკურატურის ახალ განცხადებაში თანხვედრის შესახებ მითითებული იყო, რომ სააკაშვილი გამოძახებულია პროკურატურაში ჩვენებების მისაცემად უკვე ათ სისხლის სამართლის საქმეზე. და დასავლეთმა კვლავ ნერვული რეაგირება მოახდინა. ცნობილმა დიპლომატმა მეთიუ ბრაიზამ, რომელსაც დღეს არანაირი თანამდებობა არ უკავია, მაგრამ არის მეგობრულ ურთიერთობაში საქართველოს ექსპრეზიდენტთან, ბრიუსელში მიმდინარე მარშალის ფონდის ფორუმზე განაცხადა, რომ „საქართველომ შეიძლება ვერ დაიმსახუროს მაპი სააკაშვილის პროკურატურაში გამოძახებასთან დაკავშირებით“. ბრაიზამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს არა მხოლოდ მისი პირადი აზრია, ასეთია „იმ ადამიანების განწყობილება“, რომლებიც მუშაობენ ფორუმზე და არიან ის პირები, ვინც გადამწყვეტილებებს ღებულობს. ბრაიზას განცხადებას მხარი დაუჭირეს შედეგითის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა, ესტონეთის პრეზიდენტმა კენრიკ ილვესმა და სხვა პოლიტიკოსებმა. ბილდტმა და ილვესმა ერთიმეორისგან დატოვიდნენ და განაცხადეს შერჩევითი მართლმსაჯულების დაუშვებლობის შესახებ და ეს მიიჩნიეს „უკრაინაში ტიმოშენკოს დაპატიმრების ანალოგად, რამაც შეაჩერა ქვეყნის ინტეგრაცია ევროკავშირში და შექმნა უკრაინისთვის ამჟამინდელი მძიმე პერიოდი“. საქართველოს საექსპორტო თანამეგობრობა, რომელიც თავისუფალია ყოფილი ხელისუფლების გაუფლებლისგან, პირდაპირ შოკირებულია დასავლეთის ფაქტობრივი მოთხოვნებით, რომელიც ატარებს შანტაჟის ნიშანს – ხელი არ ახლონ სააკაშვილს. მაგრამ თბილისში დადის ხმები იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელი უთანხმოება პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან გამონვეულია სწორედ „საკაშვილის საკითხით“ – აიო, მარგველაშვილი აღმოჩნდა იმავე პოზიციაზე, რომელიც ამჟამად დასავლეთმა დაიკავა, მაშინ, როდესაც ივანიშვილი მოითხოვს, რომ კანონი უნდა მუშაობდესო. საქართველოს ხელისუფლებაში, როგორც ჩანს, გაოგნებული არიან დასავლეთის გადამწყვეტილებით, დაიცვან სააკაშვილი. აბა როგორ: პარტნიორობა სასწორზე შემოდეს ქვეყნის საინტეგრაციო მომავალი – ყველა მისი დამსახურება ან მიღწევა და შესაძლო საფრთხეც რუსეთის მხრიდან, დასავლეთმა ერთი ხელის მოსმით გაათანაბრა „ხელშეუხებლობის იმუნიტეტთან“ ექსპრეზიდენტისთვის. დღეს, როგორც ჩანს, მხოლოდ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა შეძლო, შეენარჩუნებინა გულგრილობა: დასავლელ მეგობართა ნებისმიერ შეკითხვაზე სააკაშვილის შესახებ საქართველოს მხარეს აქვს ზუსტი პასუხი. „პირადად მას კი, რომელიც მოგზაურობს მთელ მსოფლიოში, მე დაბეჯითებით ვურჩევდი – შეიძინოს ავიაბილეთი და ჩამოვიდეს თბილისში როდისთვისაც დაბრუნებულია, და არც ერთი დღის დაგვიანებით“, – განაცხადა პრემიერმა.

დედამიწის ზურგზე



აშშ-ში განიხილავენ რუსეთის უფლების განხილვას ალიანსთან დაკავშირებით, თითქოს სხვის სამიზნეა პატივსაცემი ხმა 20 ათასმა კაცმა მისცა ამერიკის შეერთებული შტატებში უკვე გამოარკვევის, რომ ამერიკის ტერიტორიების ხელში ჩაგდება გათვალისწინებულია ივანიშვილის, ვლადიმერ პუტინი პირველი ბრძანებულებით კი აპირებს, აკრძალოს ალიანსზე ნადირობა დრონების დახმარებით. პუტინის ავტორებს ალიანსის რუსეთისთვის დაბრუნების შესახებ შესაგროვებელი დარჩათ დაახლოებით 80 ათასი ხმა.

იაპონია სომხობას გაუწევს უკრაინას, რომელმაც უკრაინა დაკარგა, მაგრამ უარს არ იტყვის რუსეთთან დიალოგზე იაპონიის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელმა იოსინიდე სუგამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა შეუთანხმდება მსოფლიო სავალუტო ფონდს, კიევი, გახდება ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან დახმარებისა, მიიღებს ტრანზსაც იაპონიიდან. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიას განზრახული აქვს, შეინარჩუნოს დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან. ამ დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უკვე იტყობინებენ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ვიზიტის გადადების შესახებ.

ნატოში დაიწყეს საუბარი რუსეთის მოქმედებათა გამო ევროპაში თავიანთი სტრატეგიის გადანიშნვის შესახებ



„ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთი უახლოეს პერიოდში“, განაცხადა ალიანსის გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშბოლუმ. ამ დროს ექსპერტები მიუთითებენ, რომ კრემლის თავის მოქმედებებით უკრაინასთან დაკავშირებით უნებლიეთ შეუძლია, ახალი სიცოცხლე მიანიჭოს „ლიანსს“, რომელიც არანაირი საქმე აღარ ექნება თავისი ძირითადი ძალის გამოყვანის შემდეგ ავღანეთიდან.

„დიდი რუსი“ ქვეყნები ივანიშვილის სამიზნე გახდათავე არა სოჭში, არამედ ბრიუსელში და რუსეთის მონაწილეობის გარეშე

შექმნილ სიტუაციაში ჩვენ არ მივიღებთ მონაწილეობას სოჭის სამიტში. ჩვენ შევარჩევთ ჩვენს მონაწილეობას „რვანიის ფორმატში“ მანამდე, სანამ რუსეთი არ შეცვლის კურსს, პოლიტიკური კლიმატი კი არ დაუბრუნდება იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება „რვანი“, – ნათქვამია სხდომის მონაწილეთა ერთობლივ განცხადებაში.







სანდცია



სადისციპლინო კომიტეტმა „მერანს“ ვერლიქტი გამოუტანა

საპბრთმელოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ქვეყნის თასის მეოთხედფინალის განმეორებით მატჩში მარტვილის „მერანს“ და ქობულეთის „შუქურას“ დაპირისპირებაში მომხდარი ინციდენტის თაობაზე ვერლიქტი გამოიტანა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული შეხვედრა სამტრედიის 20 მარტს „ეროსი მანჯგალაძის“ სახელობის სტადიონზე გაიმართა. ანგარიში 2:2 იყო, როცა დამატებულ წუთებზე „მერანმა“ გოლის გატანა მოახერხა, თუმცა, მსაჯებმა ერთხმად დააფიქსირეს თამაშგარე მდგომარეობა.

ამის შემდეგ ტრიბუნებზე მდგომარეობა დაიძაბა. მარტვილელთა გულშემატიკვრებმა მოედნის მიმართულებით სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყეს, სულ ცოტა ხანში კი დაახლოებით 200-მდე ადამიანი მოედანზე შეიჭრა და მსაჯებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

შესაბამისად, მატჩის დასრულება შეუძლებელი გახდა, მსაჯები კი იყვნენ თორნიკე გვანცელაძე, ბესო ჭიჭინაძე, გურამ ჩიგოგიძე და ლევან კვარაცხელია.

სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, „მერანი“ მომავალ ხელ მატჩს მაყურებელთა გარეშე ჩაატარებს. ამასთან, გუნდს საკმაოდ დიდი ფულადი ჯარიმაც დაეკისრა. მარტვილელს 12 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ.

გიორგი შოთაძე

ცისფრის ყვავილოვა

უეფამ „ბაიერნი“ დასაჯა



უეფას სადისციპლინო კომიტეტმა მიუნხენის „ბაიერნი“ 10 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. გარდა ამისა, „ბაიერნი“ 124-ე სექტორში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ უეფას ჩემპიონთა ლიგის 1/4-ფინალურ მატჩში უმეფურებლოდ იქნება. ამის შესახებ უეფას ოფიციალური საიტი იუნჩებდა.

საქმე ისაა, რომ სწორედ ამ სექტორში ლონდონის „არსენალთან“ 1/8-ფინალური მატჩის დროს მიუნხენელმა ქომაგებმა „მეთოფეები“ შეურაცხვეს. გერმანელებმა ლონდონელებს გეები უწოდეს, განსაკუთრებით კი მათ ნახევარმცველ მესუთ იოზილს შეუტიეს.

ცნობისათვის, „მანჩესტერისა“ და „ბაიერნის“ პირველი 1/8-ფინალური მატჩი 1 აპრილს შედგება.

მანუჩარ ბიორბაძე

ტრავმა ისეთი რაგაა

დელ პოტროს ოპერაცია გაუკეთეს



25 წლის არგენტინელმა სუან მარტინ დელ პოტრომ გუშინ სამედიცინო მანიპულაცია ჩაიტარა. ქირურგებმა ჩოგბურთელს ტრავმირებული იდაყვზე ოპერაცია გაუკეთეს და, როგორც ირწმუნებიან, აღდგენითი პროცესი 8-10 კვირას გასტანს. საქმეს ისეთი პირი უწინს, „დელოზო“ მიმდინარე სეზონში კორტზე გასვლას ვერ შეძლებს.

„ყველას მოგიკითხავთ. ოპერაციის შემდეგ ტკივილი ცოტათი კი მასხნებს თავს, მაგრამ იმედია, ამიერიდან მარტვენა ხელი აღარ შემანუხებს. ფოტოზე ექიმებთან რიჩარდ ბერგერსა და ფრანკოსთან ერთად ვარ გადაღებული“, - ეს სიტყვები დელ პოტრომ „ფეისბუქზე“ დაწერა.

ბაჰან დოლიძე

თოჯა

„კაისას თასი“ – მოზარდების, მათი პედაგოგებისა და მოზალებსთვის

საპბრთმელოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ დაგეგმილი კიდევ ერთი ტურნირი გაიმართა ამ დღეებში – ქალაქის ღია პირველობა ქადარაკში სახელწოდებით „კაისას თასი“. ასპარეზობა თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მოზალებს შორის ჩატარდა.

ლონისძიებებს ღირსეულად უმასპინძლა თბილისის №84 საჯარო სკოლამ (დირექტორი მანანა ბაციკაძე), ღია ჩემპიონატის მთავარი მსაჯი კი გახლდათ დავით ხიზანიშვილი, თანამემწე – ლაშა ხიზანიშვილი.

„კაისას თასის“ გენერალური სპონსორია „კაპტო ჯგუფი“ (გენერალური დირექტორი გიორგი კვინიკაძე), ტურნირის პარტნიორია „პრივატბანკი“ (საქართველო); მეგობარი ორგანიზაციაა უცხო ენების ცენტრი „ბრიტანული სახლი“. ტურნირის საინფორმაციო მხარდაჭერია სპორტული პორტალი sportall.ge.

შეჯიბრების დაწყებამდე მოსწავლეებმა მხატვრული ნომრები წარმოადგინეს. განსაკუთრებული მოწონება ხვდათ №115 საჯარო სკოლის პატარა გოგონებს.

ტურნირის საპატიო სტუმრის სტატუსით ესწრებოდა საერთაშორისო დიდოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში, ოლიმპიადის ორგზის პრიზიორი, საქართველოს ქალთა ნაკრების წევრი სალომე მელია.

154-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ირაკლი ნუგზარიშვილს, როგორც შეჯიბრების ყველაზე პატარა მოჭადრაკეს, ქალბატონმა სალომემ სპეციალური პრიზი გადასცა.

სკოლებს შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

I ადგილი: №128 საჯარო სკოლა. დირექტორი მაია სახალეიშვილი. წარმომადგენლები: ქეთევან ხომერიკი, საბა ჟორდანიას, სანდრო მუმლაძე; გიორგი ხომერიკი (მშობელი).

II ადგილი: №21 საჯარო სკოლა. დირექტორი ლალი გარსევანიშვილი. წარმომადგენლები: ნატა იათაშვილი, ნარმომადგენლები: ნათია მაჭარაშვილი, გიორგი გელაშვილი, ლევან მაისურაძე; ელენე ქაჩლიშვილი (პედაგოგი); გურამ ქარსელაძე (სკოლის წარმომადგენელი).

IV ადგილი: №84 საჯარო სკოლა. დირექტორი მანანა ბაციკაძე. წარმომადგენლები: ნათია მაჭარაშვილი, გიორგი გელაშვილი, ლევან მაისურაძე; ელენე ქაჩლიშვილი (პედაგოგი); გურამ ქარსელაძე (სკოლის წარმომადგენელი).

III ადგილი: №115 საჯარო სკოლა. დირექტორი მარგალიტა ჭინჭარაული. წარმომადგენლები: ელენე სიდამონიძე, ვანო წითელიაშვილი; თამარ ბარათაშვილი (მშობელი); გია ბეგიაშვილი (სკოლის წარმომადგენელი).

გამარჯვებული მოსწავლეები, მშობლები და სკოლის წარმომადგენლები თასითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.



ვილი, საბა ბიბიჩაძე; ზაზა ჭყუასელი (მშობელი); ზვიად მურადაშვილი (სკოლის წარმომადგენელი).

ტურნირი თანამედროვე და სპორტული ცეკვების ნომრებით დაასრულეს №84 საჯარო (პედაგოგი: ელენე მურაკაშვილი და ვერონიკა პოპოვა) და №115 საჯარო სკოლების გოგონებმა.

კოჯა კოჯახიძე

შხვარს და...

„მილანის“ მფლობელს მომიჯანაბი მოუპრავლდნენ

თითქმის ქონების დიდი ნაწილის კონფისკაცია და პატიმრობის შეზღუდვა არ კმარა და იტალიის ყოფილ პრემიერსა და საფეხბურთო კლუბ „მილანის“ მფლობელს სილვიო ბერლუსკონის მომჩივანი ქალების რიცხვიც მოუმრავლდა. ეს ის ქალებია, რომლებთანაც თავის დროზე დონ სილვიოს უღიარებია.



და მორალური გულ შელონების საზღაურად.

ახლა კი იტალიის პროკურატურაში სარჩელი თურმე ერთბაშად სამმა სხვადასხვა ასაკის ქალმა შეიტანა, რომლებიც იტალიის ყოფილი პრემიერის განასვენებდნენ. ასევე, ჩემო ბატონო, სანამ ბერლუსკონი ბერლუსკონობდა, მასთან სექსი

ჯერ იყო და, ვინმე ლუსიანა სარილიტომ წამოყო თავი და ამტკიცებდა, ბერლუსკონიმ ჩემთან სექსუალური ურთიერთობა სულ ძალისძაღად დაამყარა და ამის გამო მისგან ერთი მილიონი ევრო მერგება ღირსების შელახვის

ყველას უნდოდა, ახლა კი დონ სილვიო ერთი ჩვეულებრივი დამნაშავეა და მეტი არაფერი...

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

დელ პიეროს სოლი და აპერიკალი უურნალისტი

სანამ ჩვენ ახლა ესეფედართ და საფეხბურთო ამბებსა და ბურთის გორებისმიღმა კულუარებს განვხილავთ, ვეტყვრანი იტალიელი ფეხბურთელის ალესანდრო დელ პიეროს ცოლი სონია ამორუზო თურმე იმაზე ფიქრობს, უჩივროს თუ არა მავან ამერიკელ ჟურნალისტს.

საქმე ისაა, რომ ამერიკელმა სპორტულმა ჟურნალისტმა, ვინმე როჯერ კუებლამ იტალიური ფეხბურთის ლეგენდას ალესანდრო დელ პიეროსა და მის ოჯახს ვრცელი საგაზეთო სტატია მიუძღვნა, რომელშიც ასახული ფაქტები, სონია ამორუზოს აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება.

„როგორც ბატონი როჯერ კუებლა მოიქცა, ესაა უსინდისობა და ახლა ჩემს ადვოკატთან ვარკვევ, ვუჩივლო თუ არა როჯერსა და მის გაზეთს. ეს ადამიანი ჩვენს ოჯახში იყო და გავესაუბრეთ, მაგრამ მის მიერ აღწერილი ბევრი ამბავი უბრალოდ ტყუილია. არ მინდა, რომ ჩვენს ოჯახზე უსაფუძვლო ჭორები გავრცელდეს“ – ამბობს განაწყენებული სონია.

როსტომ რაჭვალიშვილი





ლაიფსტი

ფრანგურით... სანაგვეზე

კაცობრიობას საკუთარი ნაგავი რომ ასრობს, ეს პრობლემა აქტუალური გახდა...



სად იხალაბა სული?

მის გასარკვევად, აქვს თუ არა ადამიანს უკვდავი სუბსტანცია, რომელსაც „სული“ ეწოდება...

მატერიალისტური თვალსაზრისით, გონება — ესაა თავის ტვინის სუბსტრუქტი...



ნეიროფიზიოლოგიის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატიმა დევიდ ჰიუბელმა და ტორსტენ ვიხელმა...

ოქროს ფასი... ჟონი

ბარბანტის გაერთიანებული საემიროებში დიეტოლოგებმა განდომის ახალ ნერსს მიაგნეს.



2013 წლის ივლისში ამირატეში კონკურსი „შენი წონა — ოქროს“ გამოაცხადეს...

ჩვენი პრესლაიფსტი

კაშინუკი ვახუსეძეს



გიორგი მარგველაშვილი ირაკლი ლარიას შპირისპირაა?

საპარტიო მარგველაშვილის გიორგი მარგველაშვილის თავს ბოლო ხანებში უცნაური ამბები ხდებდა...

„ახალი თარგა“

ჯავახეთის სომხები რუსულ პასპორტებს ითხოვენ?

„ალიასტივის“ ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე დღეა, შვეიცარიის საელჩოსთან სამცხე-ჯავახეთიდან ჩამოსული ადამიანების რიგი დგას...

„ალია“

რატომ ანამის „მოფლის“ შენობაში თერჯოლელი ბიზნესმენი?

„ძრწინა“-ის რესპონდენტი თერჯოლელი ბიზნესმენი, რომელიც 2006 წელს დააკავეს და იმჟამად 63 წლისა, ხელ-ფეხზე ბორკილებდაებული რკინის ჯოხზე ჩამოკიდეს და სასტიკად სცემეს...

„ძრწინა+“

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კაღრი



ყურადღება

2014 წლის 28 მარტს (პარასკევს) 15 საათზე საქართველოს შუამდინარე-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში...

ცინცხალი ანეკდოტები

ორი დაქალი მოდაზე ლაგობს: — აი, ეს მამაკაცის გრძელი პიჯაკები წარმოუდგენლად საშინელი რამეა! — ვერც კი ხედავ, რას გრძობს იგი შენდამი.



ავტორთა საჭურალოდ! რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA ბ. ახვლედიანის (მრფობი) პერმისკინას) ქ. 19

გამომცემლობა: შპს „თბილისი-საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79



თავარი რედაქტორი ალექს ახლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: ბურაბ გომიკაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21;